

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია:  
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“  
დირექტორის # 77. 06.08.2019 ბრძანებით



სსიპ კოლეჯი "ოპიზარი"  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა  
სასტუმრო მომსახურება

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- (365) 2 2 11 03 ; T-599172005 ; (365) 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებ გვერდი: <http://opizarivet.ge/>

პროგრამის ხელმძღვანელები: ლ.ლომსაძე

2019

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, ქართულ და ინგლისურ ენაზე , რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: სასტუმრო, რესტორანი და კვება/Hotel, Restaurants and Catering
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა 10117-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/Secondary Vocational Qualification in Hotel Service

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღმწერი - „შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვადასხვა შერეულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში“.

#### 4. მიზანი

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „სასტუმრო მომსახურება“, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ განათლებაში პროფესიული პროგრამების დანერგვას, რომელიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს სასტუმრო საქმის სპეციალისტებს.

#### 5. დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლება

#### 6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

- სასტუმროს მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციებზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები, ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები.
- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 55; 55.1; 55.10.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 4224; 5151.

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

## 7. სტრუქტურა და მოდულები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურება მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის ქართულენოვანმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 80 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა სტუდენტმა 110 კრედიტი.

პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მიზანია, პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პრაქტიკული პროექტი განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული /მსმენელი სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

- მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 80 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: სასწავლო 18 თვე
- მოცულობა: არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 110 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 22 სასწავლო თვე

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

სასტუმრო მომსახურება

<b>№</b>	<b>ზოგადი მოდულები</b>	<b>კრედიტი</b>
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა (ინგლისური)	5
<b>ჯამი:</b>		<b>8</b>
<b>№</b>	<b>საერთო პროფესიული მოდულები</b>	<b>კრედიტი</b>
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2.	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4.	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5.	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6.	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
<b>ჯამი:</b>		<b>18</b>
<b>№</b>	<b>პროფესიული მოდულები - სასტუმრო მომსახურება</b>	<b>კრედიტი</b>
1.	პრობლემური სიტუაციების მართვა სასტუმროში	3
2.	ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსათვის	5
3.	სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა	4
4.	სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, ცვლის მოვალეობები და აუდიტი	8
5.	სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა	5
6.	სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა	3
7.	მარტივი მარკეტინგული საქმიანობა სასტუმროში	5
8.	სასტუმროს შესყიდვებისა და მარაგების უზრუნველყოფა	5
9.	მეორე უცხოური ენა სასტუმრო მომსახურებისთვის (რუსული)	5
10.	სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	5
11.	პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება	6
<b>ჯამში</b>		<b>54</b>

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

**სწავლის შედეგები სასტუმროს მომსახურების მიმართულებით**

1. განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა
2. უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება
3. შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა
4. უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა
5. სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები
6. აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა
7. უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

სსიპ საზოგადოებრივმა კოლეჯმა „ოპიზარი“ ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო, რესტორანი და კვება“ საფუძველზე, შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ .

„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **53,1%** მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში, სადაც საწარმოო პრაქტიკა საშუალებას აძლევს სტუდენტს/მსმენელს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეძენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები რეალურ სამუშაო გარემოში განამტკიცოს.

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

### მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

### 11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „სასტუმრო მომსახურება“ განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში “სასტუმრო მომსახურება” პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **53,1 %** მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

### 12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი № 1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი

დანართი №2-სასწავლო გეგმა

დანართი №3 – მოდულები:

დანართი3.1 ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი3.2გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება

დანართი 3.3 ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი

დანართი3.4 პირველადი გადაუდებელი დახმარება

დანართი3.5ჰიგიენა და სანიტარული ნორმები

დანართი3.6სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა

დანართი3.7კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის

დანართი3.8 გარემოსდაცვითი საფუძვლები

დანართი3.9 პრობლემური სიტუაციების მართვა სასტუმროში

დანართი3.10 ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსათვის

დანართი3.11.სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა

დანართი3.12სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, ცვლის მოვალეობები და აუდიტი

დანართი3.13 სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა

დანართი3.14 სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა

დანართი3.15 მარტივი მარკეტინგული საქმიანობა სასტუმროში

დანართი3.16 სასტუმროს შესყიდვებისა და მარაგების უზრუნველყოფა

დანართი3.17 მეორე უცხოური ენა სასტუმრო მომსახურებისთვის

დანართი3.18 სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა

დანართი3.19 პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება

დანართი3.20 ქართული ენაA2

დანართი3.21ქართული ენაB1



პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია ხელშეკრულება:

1.შპს „ლომსია“ - ხელშეკრულება N30 20.03.2019

2.ი/მ „ია აბულაძე“(სატუმრო „ტიფლისი“) -ხელშეკრულება N31 20.03.2019